

ჯანმრთელობის დაზიანების დროს არსებული/გამოწვეული მორალური
ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საკითხები, შედარებითი
სამართლებრივი ანალიზი

ირაკლი ჩიხრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ჩიხრაძე

15/06/2022

აბსტრაქტი

ქართულ კანონმდებლობაში, ბუნებრივია, რომ ახალი არ არის მორალური ზიანის ცნება, თუმცა კანონმდებლობა აღნიშნულს ყოველთვის არ ითვალისწინებდა და მისი გაჩენის ათვლაც დამოუკიდებლობის მეორედ გამოცხადების პერიოდიდან უნდა დავიწყოთ. ნაშრომში აუცილებლად იქნება განხილული აღნიშნული ისტორიული დისკურსი, თუმცა, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მორალური ზიანის განსაზღვრებასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოწვევებზე. მოგეხსენებათ, რომ დღესდღეობით მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა აწესრიგებს. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოც შეგვიძლია მათ რიგებში მივიჩნიო, რაც თავის მხრივ, ცალსახად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ შემთხვევაშიც გვრჩება ძალიან ბევრი ბუნდოვანების შემცველი საკითხი, რომელთა მოწესრიგებასაც, გარკვეული გარემოებების გამო, ქართული კანონმდებლობა ბოლომდე ვერ ახერხებს, ხოლო სასამართლო დავებისას საკითხები მოსამართლეთა სუბიექტური ხედვის საფუძველზე წყდება. ეს ყოველივე, გარკვეულწილად, ლოგიკურიცაა, რადგან მორალური ზიანის ცნება. საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე. ძალიან რთულია იყოს ყველასთვის ან თუნდაც უმრავლესობისათვის მოსაწონი, ობიექტური

კრიტერიუმებით შეფასებული, თანაც ასე რომ იყოს, ამ ნაშრომის დაწერის ლოგიკური საფუძველი აღარ იარსებებდა, თუმცა, ბუნებრივია, რომ ეს მაინც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქართულ კანონმდებლობას გააჩნია ამ კონკრეტული საკითხთან მიმართებით გაუმჯობესებისა და შესაბამისი ცარიელი სამართლებრივი სივრცეების შევსების შესაძლებლობა.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: მორალური ზიანი, ფიზიკური დაზიანება, ქართული კანონმდებლობა, შეფასების კრიტერიუმი, ისტორიული დისკურსი.

Naturally, the concept of moral damage is not new in Georgian law, but the law did not always provide for this and its emergence should start from the period of the second declaration of independence. At present, the issues related to compensation for moral damages are regulated by the legislation of many countries. And in litigation, issues are resolved on the basis of the judges' subjective view, all of which is somewhat logical because the notion of moral damages goes beyond its own content. The issue is very difficult to be acceptable to everyone or even to the majority, judged by objective criteria, but actually if it had not been so be natural the logical basis for writing this paper would no longer exist. However, it is natural that all this does not exclude the possibility that the Georgian legislation has the opportunity to improve on this particular issue and fill the relevant gaps.

Keywords: moral damage, physical injury, Georgian legislation, ssesment criteria, historical discourse.